# ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

## განკარგულება № 351

7 დეკემბერი
"---" -------- 2018 წ

ქ. თბილისი

**ქალაქ თბილისში, დავით აღმაშენებლის გამზირზე რეგისტრირებული 4061 კვ.მ. ფართობის ტერიტორიიდან (ს/კ: №01.16.05.032.024) 30 კვ.მ. მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით ზუხრა ტატიშვილისთვის (პ/ნ: 01030001988) სარგებლობის უფლებით იჯარის ფორმით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე**

საქართველოს ორგანული კანონის - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, $122^1$ მუხლის მე-6 პუნქტის, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის №19-78 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-2 მუხლის მე-11 პუნქტის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. მიეცეს თანხმობა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას, „ქალაქ თბილისში, დავით აღმაშენებლის გამზირზე რეგისტრირებული 4061 კვ.მ. ფართობის ტერიტორიიდან (ს/კ: №01.16.05.032.024) 30 კვ.მ. მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით ზუხრა ტატიშვილისთვის (პ/ნ: 01030001988) სარგებლობის უფლებით იჯარის ფორმით გადაცემის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2018 წლის 17 ოქტომბრის №18.834.1211 განკარგულებით გათვალისწინებული უძრავი ქონების: ქალაქ თბილისში, დავით აღმაშენებლის გამზირზე რეგისტრირებული 4061 კვ.მ. ფართობის ტერიტორიიდან (ს/კ: №01.16.05.032.024) 30 კვ.მ. მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით ზუხრა ტატიშვილისთვის (პ/ნ:01030001988) სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემაზე.

2. შეთანხმდეს მიწის ნაკვეთის საიჯარო ქირის წლიური საფასური - 5400 (ხუთი ათას ოთხასი) ლარის ოდენობით.

3. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. №6).

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძე